საქართველოს შედეგები კანონის უზენაესობის 2022 წლის ინდექსში



მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

შინაარსი

ძირითადი მიგნებები 4

შესავალი 5

კანონის უზენაესობის ინდექსის მეთოდოლოგია 5

საქართველოსა და რეგიონის ქვეყნების ზოგადი შედეგების მიმოხილვა კანონის უზენაესობის ინდექსში 7

საქართველოს შედეგების ანალიზი კანონის უზენაესობის 2022 წლის ინდექსში 8

1. მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვა 9
2. კორუფციის არარსებობა 10
3. ღია მმართველობა 11
4. ფუნდამენტური უფლებების დაცვა 12
5. წესრიგი და უსაფრთხოება 13
6. სარეგულაციო აღსრულება 14
7. სამოქალაქო მართლმსაჯულება 15
8. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება 16

დასკვნა 17

ძირითადი მიგნებები

- 2022 წლის კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის თანახმად, საქართველოში კანონის უზენაესობის მდგომარეობა 0.60 ქულით არის შეფასებული (მაქსიმალური 1 ქულა). წინა წელთან შედარებით ქვეყნის მაჩვენებელი 0.01 ქულით შემცირდა.

- 2022 წლის შეფასებით, საქართველო 49-ე ადგილს იკავებს შეფასებულ 140 ქვეყანას შორის, ხოლო რეგიონულ რეიტინგში პირველ პოზიციაზეა 14 ქვეყანას შორის. თუმცა, საქართველო იმ ქვეყნებს შორის მოხვდა, სადაც 2015 წლის შემდეგ კანონის უზენაესობის მაჩვენებელი შემცირდა.

- რეგიონში ბოლო წლებში (2015 წლიდან) ზრდადი ტენდენცია აჩვენეს მოლდოვამ, უკრაინამ, ყაზახეთმა და უზბეკეთმა. 2021 წელთან შედარებით, 2022 წელს ქულა გაუმჯობესდა კოსოვოში, მოლდოვაში, უზბეკეთსა და ბოსნია-ჰერცოგოვინაში.

- ინდექსით შეფასებულ რვა კრიტერიუმს შორის წინა წლების მსგავსად, 2022 წელს ყველაზე მაღალი შეფასება საქართველომ წესრიგისა და უსაფრთხოების კომპონენტში აიღო - 0.79 ქულა. ყველაზე დაბალი შეფასება ქვეყანას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომპონენტში აქვს - 0.51 ქულა, რომელიც წინა წელთან შედარებით, კიდევ უფრო გაუარესდა.

- საქართველოს შედეგები რვა შეფასებული კრიტერიუმიდან მხოლოდ სამში გაუმჯობესდა, ისიც უმნიშვნელოდ - სარეგულაციო აღსრულების, კორუფციის არარსებობისა და წესრიგისა და უსაფრთხოების ინდიკატორებში. დანარჩენ ხუთ კრიტერიუმში კი კლება დაფიქსირდა, რომელთა შორისაც ქულები ყველაზე მეტად შემცირდა შემდეგი მიმართულებით: სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვა და ფუნდამენტური უფლებები.

- საქართველოს შედეგები რვა შეფასებულ კრიტერიუმში ყველაზე მაღალი 2015-2016 წლებში იყო, რის შემდეგაც ქვეყნის მაჩვენებლები ყველა მიმართულებით შემცირებულია.

- 2021 წელთან შედარებით, 2022 წლის შეფასებით, ცალკეული ინდიკატორების შემთხვევაში, ყველაზე მეტად ქულები შემცირდა შემდეგ საკითხებში: სისხლისა და სამოქალაქო სამართლის მართლმსაჯულების თავისუფლება ხელისუფლების არასათანადო ზეგავლენისგან, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ეფექტური უზრუნველყოფა. მცირედი პროგრესი (0.02-0.01 ქულით ზრდა) დაფიქსირდა რამდენიმე ინდიკატორთან მიმართებით: სამართლიანი ადმინისტრაციული პროცესის უზრუნველყოფა (სარეგულაციო აღსრულების კომპონენტში), ხელისუფლების საქმიანობის გასაჩივრების მექანიზმების არსებობა, კორუფციის არარსებობა აღმასრულებელ ხელისუფლებაში; რელიგიის თავისუფლება, სამოქალაქო მართლმსაჯულებაში კორუფციის არარსებობა.

შესავალი

26 ოქტომბერს გამოქვეყნდა მსოფლიოს სამართლის პროექტის (World Justice Project)[1] კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსი. აღნიშნული ინიციატივის თანახმად, კანონის უზენაესობა კანონმდებლობის, ინსტიტუტების, წესებისა და საზოგადოების ვალდებულებების მტკიცე სისტემაა, რომელიც ანგარიშვალდებულების, სამართლიანი კანონმდებლობის, ღია მმართველობისა და ხელმისაწვდომი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების პრინციპებს აერთიანებს.[2]

კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსი 8 კრიტერიუმს მოიცავს და ყოველწლიურად ქვეყნდება. ამ კრიტერიუმებით კანონის უზენაესობის კუთხით სახელმწიფოების მდგომარეობა ფასდება.

აღნიშნულ ანალიზში მიმოხილულია საქართველოს შედეგები კანონის უზენაესობის გლობალურ ინდექსში 2022 წლის მდგომარეობით, შედარებულია ქვეყნის შედეგები წინა წლების მაჩვენებლებთან, და რეგიონის სხვა ქვეყნებთან.

კანონის უზენაესობის ინდექსის მეთოდოლოგია

„მსოფლიო სამართლის პროექტმა“ კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის განსასაზღვრად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე პრაქტიკოსებთან, ექსპერტებთან, აკადემიური სფეროს წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად, შემუშავდა კონცეპტუალური ჩარჩო, რომელიც 8 კრიტერიუმსა და 44 ინდიკატორს მოიცავს. 2022 წელს შეფასდა 140 ქვეყანა. შეფასება გაკეთდა მოსახლეობის, ასევე, ექსპერტებისა და პრაქტიკოსი იურისტების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, სადაც ასახულია ქვეყანაში კანონის უზენაესობის მდგომარეობასთან დაკავშირებული საზოგადოების აღქმები და გამოცდილება. ინდექსის თითოეული ქულა გამოითვლება ორი სახის მონაცემზე დაყრდნობით: მოსახლეობის საყოველთაო გამოკითხვის (GPP) შედეგები და კვალიფიციური რესპოდენტების გამოკითხვის (QRQ) ანკეტები.

2022 წლის კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის ანგარიშის შესადგენად გამოყენებულ იქნა მოსახლეობის საყოველთაო გამოკითხვის 2021-2022 (26 ქვეყანასთან მიმართებით), 2020-2021 (13 ქვეყანასთან მიმართებით), 2019 (10 ქვეყანასთან მიმართებით), 2018 (69 ქვეყანასთან მიმართებით), 2017 (45 ქვეყანასთან მიმართებით), 2016 (4 ქვეყანასთან მიმართებით), 2014 (3 ქვეყანასთან მიმართებით), 2012 (1 ქვეყანასთან მიმართებით) და 2011 (ორ ქვეყანასთან მიმართებით) წლების შედეგები. საქართველოს შესაფასებლად გამოყენებულ იქნა 2017 წლის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები, რომელიც თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში ჩატარდა.

კვალიფიციური რესპოდენტების გამოკითხვა (QRQ) ყოველწლიურად ტარდება, საკონსტიტუციო, სამოქალაქო, სავაჭრო, სისხლისა და შრომის სამართალში, ჯანდაცვასა და სამოქალაქო

[1] ინდექსის ვებ-გვერდი: https://worldjusticeproject.org/rule-of-law-index/

[2] იხილეთ სრული მეთოდოლოგია: https://worldjusticeproject.org/rule-of-law-index/downloads/INDEX-2022-methodology.pdf

თავისუფლებების სფეროში მოღვაწე ექსპერტებსა და პრაქტიკოსებთან. 2022 წლის ინდექსით განსაზღვრული მონაცემები 2022 წლის თებერვლიდან ივნისის ჩათვლით პერიოდში შეგროვდა.

მონაცემების დამუშავების შედეგად, თითოეული კრიტერიუმსა და მის შესაბამის ინდიკატორებს ენიჭებათ შესაბამისი ქულა 0-დან 1-ის ჩათვლით. რაც უფრო მაღალია ქულა, მით უკეთესი მდგომარეობაა ქვეყანაში კანონის უზენაესობის თვალსაზრისით. ამასთან, დგება გლობალური და რეგიონული რეიტინგი. **საქართველო შესულია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში,** რომელიც შემდეგ სახელმწიფოებს მოიცავს: საქართველო, კოსოვო, ჩრდილოეთ მაკედონია, ყაზახეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბელარუსი, უკრაინა, სერბეთი, ალბანეთი, მოლდოვა, ყირგიზეთი, უზბეკეთი, რუსეთი და თურქეთი.

კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსით შემდეგი რვა კრიტერიუმი ფასდება:

1. მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვა - საკანონმდებლო ორგანო, სასამართლო, დამოუკიდებელი აუდიტი ეფექტურად ზღუდავს მთავრობის ძალაუფლებას, თანამდებობის პირებს სანქციები ეკისრებათ გადაცდომებისთვის, მთავრობა ექვემდებარება არასამთავრობო სექტორის კონტროლს, ხელისუფლება იცვლება კანონის შესაბამისად (6 ინდიკატორი).

2. კორუფციის არარსებობა[3] - კორუფციის ნაკლებობა აღმასრულებელ, სასამართლო, საპოლიციო/სამხედრო და საკანონმდებლო ორგანოებში (4 ინდიკატორი).

3. ღია მმართველობა - სამართლებრივი აქტებისა და საჯარო მონაცემთა გამოქვეყნება, ინფორმაციის თავისუფლება, სამოქალაქო ჩართულობა, გასაჩივრების მექანიზმები (4 ინდიკატორი).

4. ფუნდამენტური უფლებები - დაცულია დისკრიმინაციის დაუშვებლობის, სიცოცხლისა და უსაფრთხოების, სამართლიანი სასამართლოს უფლებები, გამოხატვის თავისუფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, შეკრების თავისუფლება, რელიგიის თავისუფლება და დასაქმებულთა უფლებები (8 ინდიკატორი).

5. წესრიგი და უსაფრთხოება - დანაშაულის, სამოქალაქო დაპირისპირებისა და საზოგადოების მხრიდან ძალადობის გამოყენების პრაქტიკის არარსებობა (3 ინდიკატორი).

6. სარეგულაციო აღსრულება - ეფექტური სარეგულაციო აღსრულება, არამართლზომიერი ზეგავლენის არარსებობა, ადმინისტრაციული პროცესის დაუსაბუთებელი გაჭიანურების არარსებობა, სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფა, შესაბამისი კომპენსაციის გარეშე ექსპროპრიაციის არარსებობა (5 ინდიკატორი).

7. სამოქალაქო მართლმსაჯულება - მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა (ფიზიკური და ფინანსური), დისკრიმინაციის არარსებობა, კორუფციის არარსებობა, აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენის არარსებობა, პროცესის დაუსაბუთებელი გაჭიანურების არარსებობა, ეფექტური აღსრულება, ეფექტური და მიუკერძოებელი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმები (7 ინდიკატორი).

8. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება - ეფექტური გამოძიება, დროული და ეფექტური მართლმსაჯულება, ეფექტური პრობაციის სისტემა, დისკრიმინაციის არარსებობა,

[3] ფასდება კორუფციის ნაკლებობა/სიმცირე ხელისუფლების სხვადასხვა შტოებში. შეფასება იწერება 0-1 ქულებს შორის, რაც მეტია ქულა, მით დაბალია კორუფციის დონე ხელისუფლების ცალკეულ შტოებში.

აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენის არარსებობა, სამართლიანი სასამართლო პროცესი (7 ინდიკატორი).

საქართველოსა და რეგიონის ქვეყნების ზოგადი შედეგების მიმოხილვა კანონის უზენაესობის ინდექსში

2022 წელს კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსით საქართველოში კანონის უზენაესობა 0.60 ქულით შეფასდა.[4] ამ მაჩვენებლით საქართველო 140 ქვეყანას შორის 49-ე ადგილს იკავებს, ხოლო რეგიონულ რეიტინგში 14 ქვეყანას შორის პირველ ადგილზეა. 2021 წლის მონაცემებთან შედარებით, საქართველოს ქულა 0.01 ქულით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში **კანონის უზენაესობის მდგომარეობის მიხედვით ქვეყანას ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2015-2016 წლებში ჰქონდა - 0.65 ქულა, რის შემდეგაც ყოველწლიურად (2021 წლის გარდა) რეგრესი ფიქსირდება.** შედეგად, საქართველო იმ ქვეყნებს შორისაა, სადაც კვლევის მიხედვით, 2015 წლის შემდეგ კანონის უზენაესობის მაჩვენებელი შემცირდა.



რეგიონულ ჭრილში აღსანიშნავია, რომ 2015 წლის შედეგებთან შედარებით პროგრესი ფიქსირდება მხოლოდ ყაზახეთში, მოლდოვაში, უკრაინასა და უზბეკეთში. მოლდოვას ქულის ცვლილება ბოლო შვიდ წელში +8.6%-ია, რაც ყველაზე მაღალია სხვა ქვეყნებთან შედარებით. საქართველოსთან ერთად დანარჩენი რვა ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონიდან იმ ქვეყნებს შორის არიან, სადაც კანონის უზენაესობის მაჩვენებელი 2015 წლის შემდეგ შემცირდა. რაც შეეხება წინა წელთან შედარებით 2022 წლის შედეგების

[4] საქართველოს შედეგები დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://worldjusticeproject.org/rule-of-law-index/country/2022/Georgia/

ცვლილებას, ქულების კლება დაფიქსირდა რუსეთში, ბელარუსში, უკრაინაში, ყირგიზეთში, ალბანეთში, სერბეთში, საქართველოსა და თურქეთში. მაშინ როცა პროგრესი დაფიქსირდა კოსოვოში, მოლდოვაში, ჩრდილოეთ მაკედონიაში, ყაზახეთში, უზბეკეთსა და ბოსნია-ჰერცოგოვინაში. საგულისხმოა, რომ უკრაინის ქულა მნიშვნელოვნად შემცირდა წესრიგისა და უსაფრთხოების მაჩვენებელში.

Country/Jurisdiction	Regional Rank	Overall Score*	Annual Change in Overall Score*	Annual % Change in Overall Score*	Global Rank	Annual Change in Global Rank†
Georgia	1/14	0.60	0.00	-0.6%	49	0
Kosovo	2/14	0.56	0.01	2.4%	57	3 ▲
North Macedonia	3/14	0.53	0.00	0.4%	63	1 ▲
Kazakhstan	4/14	0.53	0.00	0.7%	65	1 ▲
Moldova	5/14	0.52	0.01	1.9%	68	5 ▲
Bosnia and Herzegovina	6/14	0.52	0.00	0.9%	70	2 ▲
Ukraine	7/14	0.50	-0.01	-2.0%	76	2 ▼
Uzbekistan	8/14	0.50	0.01	1.0%	78	7 ▲
Serbia	9/14	0.49	0.00	-0.8%	83	2 ▼
Albania	10/14	0.49	0.00	-0.9%	87	4 ▼
Belarus	11/14	0.46	-0.02	-3.2%	99	2 ▼
Kyrgyz Republic	12/14	0.46	-0.01	-1.3%	100	1 ▼
Russian Federation	13/14	0.45	-0.02	-3.5%	107	6 ▼
Turkey	14/14	0.42	0.00	-0.4%	116	1 ▲

საქართველოს შედეგების ანალიზი კანონის უზენაესობის 2022 წლის ინდექსში

კანონის უზენაესობის ინდექსით შეფასებულ რვა კრიტერიუმს შორის წინა წლების მსგავსად, 2022 წელს ყველაზე მაღალი შეფასება საქართველომ წესრიგისა და უსაფრთხოების კომპონენტში აიღო - 0.79 ქულა. ყველაზე დაბალი შეფასება ქვეყანას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომპონენტში აქვს - 0.51 ქულა, რომელიც წინა წელთან შედარებით, კიდევ უფრო გაუარესდა.

საქართველოს შედეგები რვა შეფასებული კრიტერიუმიდან მხოლოდ სამში გაუმჯობესდა, ისიც უმნიშვნელოდ - +0.006, +0.002 და +0.003 ქულებით, სარეგულაციო აღსრულების, კორუფციის არარსებობისა და წესრიგისა და უსაფრთხოების ინდიკატორებში, შესაბამისად. დანარჩენ ხუთ კრიტერიუმში კი კლება დაფიქსირდა, რომელთა შორისაც ქულები ყველაზე მეტად შემცირდა

შემდეგი მიმართულებით: სისხლის სამართლის მართლმსაჯულება (-0.013 ქულა), მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვა (- 0.01 ქულა) და ფუნდამენტური უფლებები (-0.009 ქულა).



1. მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვა

2022 წელს კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსით, საქართველოს მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის კრიტერიუმი 0.53 ქულით შეფასდა, რაც წინა წელთან შედარებით 0.01 ქულით შემცირდა. ამ კრიტერიუმში ქვეყანამ ყველაზე მაღალი შეფასება 2015-2016 წლებში მიიღო (0.62 ქულა), რის შემდეგაც ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად მცირდება.

შეფასების მიხედვით, საქართველოში მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის ექვსი ინდიკატორიდან ხუთთან მიმართებით მდგომარეობა წინა წლებთან შედარებით გაუარესებულია. გაუმჯობესება დაფიქსირებულია მხოლოდ საკანონმდებლო კონტროლის კუთხით. ყველაზე დაბალი შეფასება - 0.39 ქულა - თანამდებობის პირთა გადაცდომებისთვის სანქციების მიმართულებას აქვს, რის შემდეგაც მოდის სასამართლო კონტროლი - 0.44 ქულით.



<u>შეფასების ინდიკატორები:</u> მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის კრიტერიუმი მმართველი პირების კანონის წინაშე ვალდებულების ხარისხს ზომავს. შეფასებისას მხედველობაში მიიღება კონსტიტუციური და ინსტიტუციური მექანიზმები, რომელთა საშუალებით მმართველი პირები კანონის ფარგლებში შეზღუდულნი და ანგარიშვალდებულნი არიან. ამასთან, აღნიშნული კრიტერიუმი მოიცავს სხვა საშუალებებს, რომლითაც ხელისუფლების კონტროლი არის შესაძლებელი, მათ შორის, თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის არსებობას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს კრიტერიუმი აფასებს, რამდენად არის ძალაუფლება გადანაწილებული იმგვარად, რომ არც ერთ სახელისუფლებო ორგანოს არ ჰქონდეს ფაქტობრივი შესაძლებლობა, უფლებამოსილება საზოგადოების მხრიდან კონტროლის გარეშე განახორციელოს.

2. კორუფციის არარსებობა

2022 წლის საქართველოს შედეგები კორუფციის არარსებობის კრიტერიუმში 2021 წელთან შედარებით, მცირედით - 0.002 ქულით - გაუმჯობესდა და საერთო ჯამში, წინა წლის მსგავსად, 0.68 შეადგინა. ამ შემთხვევაშიც, ქვეყანას აღნიშნულ მაჩვენებელში ყველაზე მაღალი შეფასება 2015-2016 წლებში ჰქონდა - 0.73 ქულა, რის შემდეგაც ქულა მუდმივად იკლებდა (2022 წლის მცირედი გაუმჯობესების გარდა).

შეფასების ამ ბლოკში ყველაზე დაბალი შეფასება ქვეყანამ საკანონმდებლო ორგანოში კორუფციის არარსებობის ინდიკატორში მიიღო და 0.51 ქულით შეფასდა.



<u>შეფასების ინდიკატორები:</u> კორუფციის არარსებობის კრიტერიუმი სახელმწიფო ორგანოებში კორუფციის დონეს აფასებს. ამ კრიტერიუმით კორუფციად მიიჩნევა მექრთამეობა, ზეგავლენით ვაჭრობა და სახელმწიფო რესურსების უკანონო განკარგვა. კორუფციის ეს სახეები მოწმდება სასამართლო, აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სამხედრო/საპოლიციო ორგანოებში.

აღმასრულებელი ხელისუფლების შეფასებისას მხედველობაში მიიღება მექრთამეობის სიხშირე, არაფორმალური გადახდები, სახელმწიფო შესყიდვების ღიაობა, სხვადასხვა თანამდებობის პირების მიერ სახელმწიფო ფინანსების მითვისება/გაფლანგვის შემთხვევები. სასამართლო სისტემის შემოწმებისას ფასდება სასამართლოში მექრთამეობის შემთხვევები და სასამართლო სისტემის ხელისუფლების, კრიმინალური დაჯგუფებების ან/და პირადი ინტერესების არასათანადო ზეგავლენისგან დაცულობა. საკანონმდებლო ორგანოსთან მიმართებით იზომება საკანონმდებლო ორგანოში ქრთამის აღების ან/და მიცემის შემთხვევები ხმათა ან პოლიტიკური მფარველობის სანაცვლოდ. რაც შეეხება სამხედრო/საპოლიციო ორგანოებს, ამ ინდიკატორით ფასდება ორგანოებში მექრთამეობა და კრიმინალური დაჯგუფებების ან პირადი ინტერესების გამო არასათანადო ზეგავლენის დონე.

3. ღია მმართველობა

კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსით, საქართველოში ღია მმართველობის მდგომარეობა 2022 წელს 0.59 ქულით შეფასდა და წინა წელთან შედარებით, მცირედი კლება (0.002 ქულით შემცირება) დაფიქსირდა. ამ მიმართულებით, ყველაზე მაღალი ქულა საქართველოს 2016 წელს ჰქონდა - 0.63 ქულა - და წლების მანძილზე ცვალებადი შედეგებით ხასიათდებოდა.

საქართველოს ღია მმართველობის ინდიკატორებს შორის ყველაზე მაღალი შეფასება ყოველწლიურად ინფორმაციის თავისუფლების და სამოქალაქო ჩართულობის მიმართულებით აქვს. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, მხოლოდ

გასაჩივრების მექანიზმებში დაფიქსირდა ქულის მცირედი ზრდა, დანარჩენ სამ კომპონენტში კი კლება.



<u>შეფასების ინდიკატორები:</u> კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის ღია მმართველობის კრიტერიუმი სახელმწიფოს მიერ ინფორმაციის ღიაობის უზრუნველყოფას, საზოგადოების ხელისუფლების ანგარიშვალდებულების კონტროლის სათანადო მექანიზმებით აღჭურვასა და მოქალაქეების საჯარო განხილვებში მონაწილეობის ხელშეწყობის დონეს აფასებს. ამ მიზნით, ღია მმართველობის ინდიკატორები ზომავს ძირითადი კანონმდებლობისა და უფლებების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობას, პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის ხარისხს, საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემას, სამოქალაქო ჩართულობის საშუალებებისა და ეფექტიანი გასაჩივრების მექანიზმების არსებობას.

4. ფუნდამენტური უფლებების დაცვა

საქართველომ ფუნდამენტური უფლებების კრიტერიუმში 2022 წლის შეფასებით, 0.62 ქულა აქვს მიღებული, რაც 0.01 ქულით ჩამორჩება 2021 წლის მაჩვენებელს. სხვა კრიტერიუმების მსგავსად, ამ მიმართულებითაც საქართველოს ყველაზე მაღალი ქულა 2016 წელს ჰქონდა. ქვე-კომპონენტებს შორის, ქვეყანას ყველაზე დაბალი შეფასება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების, ხოლო ყველაზე მაღალი - სიცოცხლისა და უსაფრთხოების უფლების კუთხით აქვს. საგულისხმოა, რომ ფუნდამენტური უფლებების რვა კომპონენტიდან მხოლოდ რელიგიის თავისუფლების კუთხით დაფიქსირდა მცირედი გაუმჯობესება, დანარჩენი უფლებების კუთხით წინა წელთან შედარებით ქულები შემცირებულია.



<u>შეფასების ინდიკატორები:</u> ფუნდამენტური უფლებების კრიტერიუმი სახელმწიფოში ფუნდამენტური უფლებების დაცულობის დონეს აფასებს. ადამიანის უფლებების ფართო სპექტრიდან გამომდინარე, რთულია ყველა უფლების ჭრილში ამ კრიტერიუმით გაზომვა. ამდენად, მსოფლიოს სამართლის პროექტი აფასებს მხოლოდ იმ უფლებების დაცულობას, რომელიც განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და შედარებით ახლოს დგას კანონის უზენაესობის გამოწვევებთან. კერძოდ, ფუნდამენტური უფლებების კრიტერიუმი აფასებს დისკრიმინაციის არარსებობას, სიცოცხლისა და უსაფრთხოების, სამართლიანი სასამართლოს უფლებას, გამოხატვის, რელიგიის, შეკრების თავისუფლებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და დასაქმებულთა უფლებებს.

5. წესრიგი და უსაფრთხოება

2022 წლის შედეგების მიხედვით, ეს ერთ-ერთი მიმართულებაა, სადაც საქართველომ მცირედი გაუმჯობესება აჩვენა (ქულის მატება 0.003-ით) და 0.79 ქულა მიიღო, თუმცა ეს მაჩვენებელიც ჩამორჩება 2015 წლის შედეგებს, როცა ქვეყანას 0.83 ქულა ჰქონდა. რაც შეეხება ქვე-ინდიკატორებს, წლების მანძილზე ყველაზე მაღალი შეფასება საქართველოს სამოქალაქო კონფლიქტის არარსებობის მიმართულებით აქვს (1 ქულა). ამ წელს მცირედი გაუმჯობესება დაფიქსირდა დანაშაულის არარსებობისა (0.002-ით ზრდა) და ძალადობის გამოყენების თავიდან აცილების (0.007-ით ზრდა) ინდიკატორებში.



<u>შეფასების ინდიკატორები:</u> კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის მე-5 კრიტერიუმი წესრიგი და უსაფრთხოებაა, რომელიც კერძო პირებისა და საკუთრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარისხს აფასებს. ეს კრიტერიუმი სამ მიმართულებას ითვალისწინებს. მათი საშუალებით ფასდება დანაშაულის, სახელმწიფოებრივი ძალადობისა და საზოგადოების მიერ ძალადობრივი მეთოდების გამოყენების დონე. ინდიკატორებს წარმოადგენს დანაშაულის არარსებობა, სამოქალაქო კონფლიქტის არარსებობა და საზოგადოების მხრიდან ძალადობის გამოყენების თავიდან აცილება.

დანაშულის არარსებობის ინდიკატორი ზომავს ხშირად ჩადენილი დანაშაულების გავრცელების დონეს, მათ შორის, მკვლელობის, გატაცების, ქურდობის, შეიარაღებული ძარცვის და ფულის გამოძალვის, ასევე საზოგადოების მხრიდან უსაფრთხოების აღქმას. სამოქალაქო კონფლიქტის არარსებობის ინდიკატორით ფასდება შეიარაღებული კონფლიქტისა და ტერორიზმისგან საზოგადოების დაცულობის ხარისხი, ხოლო საზოგადოების მხრიდან ძალადობის გამოყენების თავიდან აცილების ინდიკატორი ზომავს, რამდენად მიმართავს საზოგადოება დავების გადაწყვეტისთვის ძალადობრივ მეთოდებს ან/და რამდენად დაცულია პირი სახალხო გასამართლებისგან.

6. სარეგულაციო აღსრულება

2022 წლის შედეგებით, საქართველომ სარეგულაციო აღსრულების კომპონენტში 0.57 ქულა მიიღო, რითაც წინა წლის მაჩვენებელი 0.006-ით გაიუმჯობესა. 2015-2016 წლებში ქვეყანას ამ მიმართულებით 0.62 ქულა ჰქონდა მიღებული. ქვე-კომპონენტებს შორის საქართველოს ყველაზე მაღალი ქულა რეგულაციების აღსრულების პროცესში არასათანადო ზეგავლენის არარსებობაში მიიღო - 0.79 ქულით შეფასდა. ყველაზე დაბალი კი სამართლიანი ადმინისტრაციული პროცესის უზრუნველყოფისა და პროცესის დაუსაბუთებელი გაჭიანურების არარსებობის კუთხით დაფიქსირდა.



<u>შეფასების ინდიკატორები:</u> სარეგულაციო აღსრულება კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის მე-6 კრიტერიუმია, რომელიც რეგულაციების გატარებისა და აღსრულების ეფექტურობას აფასებს. სარეგულაციო აღსრულების ინდიკატორებია: რეგულაციების ეფექტური აღსრულება, რეგულაციების აღსრულების პროცესში არასათანადო ზეგავლენისა და ადმინისტრაციული პროცესის დაუსაბუთებელი გაჭიანურების არარსებობა, სამართლიანი ადმინისტრაციული პროცესის უზრუნველყოფა და სათანადო კომპენსაციის გარეშე ექსპროპრიაციის არარსებობა.

7. სამოქალაქო მართლმსაჯულება

კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის 2022 წლის შეფასების თანახმად, საქართველოს სამოქალაქო მართლმსაჯულების კომპონენტში 0.53 ქულა აქვს, რაც წინა წელთან შედარებით 0.003 ქულით შემცირდა. ამ კუთხით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქვეყანას 2015 წელს ჰქონდა - 0.63 ქულა.

სამოქალაქო მართლმსაჯულების ინდიკატორებს შორის, ქვეყანას ყველაზე მაღალი ქულა ეფექტური და მიუკერძოებელი ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების მიმართულებით აქვს (0.73 ქულა). ყველაზე დაბალი შედეგები ფიქსირდება და პრობლემურ მიმართულებებად რჩება პროცესის დაუსაბუთებელი გაჭიანურებისა და ხელისუფლების გავლენის არსებობა. ამ უკანასკნელ კომპონენტში წინა წელთან შედარებით, ქულა კიდევ უფრო შემცირებულია (-0.02 ქულით).



<u>შეფასების ინდიკატორები:</u> სამოქალაქო მართლმსაჯულების კრიტერიუმი აფასებს მოქალაქეების შესაძლებლობას, დავები მშვიდობიანად, სასამართლოსთვის მიმართვის გზით მოაგვარონ. ეფექტიანი სამოქალაქო მართლმსაჯულების უზრუნველყოფა მოიცავს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის (ფიზიკური და ფინანსური), დისკრიმინაციისგან, კორუფციისგან, არასათანადო ზეგავლენისგან თავისუფალი სასამართლოს, საქმეთა დროულად, გაჭიანურების გარეშე განხილვის, ეფექტური აღსრულების, ხელმისაწვდომ, მიუკერძოებელ და ეფექტიან, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ინდიკატორებს.

8. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება

2021 წელთან შედარებით, 2022 წელს საქართველოს ქულა ყველაზე მეტად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კრიტერიუმში შემცირდა - 0.53 ქულა 0.51-მდე ჩამოვიდა. ამ კუთხით ყველაზე მაღალი შეფასება ქვეყანას 2016 წელს ჰქონდა.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ინდიკატორებს შორის, საქართველოს ყველაზე დაბალი ქულები აქვს ხელისუფლების ზეგავლენის არარსებობისა (0.24 ქულა - წინა წელთან შედარებით 0.04 ქულით კლება) და ეფექტური გამოძიების არსებობის (0.36 ქულა) ნაწილში. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი კორუფციის არარსებობის კომპონენტში დაფიქსირდა (0.73 ქულა). აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შეფასების რვავე ინდიკატორში საქართველოს ქულა წინა წელთან შედარებით შემცირებულია.



<u>შეფასების ინდიკატორები:</u> სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კრიტერიუმი მთლიანად სისხლის სამართლის სისტემას აფასებს. ეს კრიტერიუმი მოიცავს ეფექტური და დროული გამოძიების, ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების, ეფექტური პრობაციის სისტემის, დისკრიმინაციისა და კორუფციის არარსებობა, აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ზეგავლენის არარსებობის და სამართლიანი სასამართლო პროცესის მიმართულებებს. ასევე, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კრიტერიუმით შეფასებისას მხედველობაში მიიღება მთლიანი სისტემა, მათ შორის, ფასდება პოლიცია, ბრალდების მხარე, მოსამართლეები და სასჯელაღსრულებითი დაწესებულების თანამშრომლები.

დასკვნა

„მსოფლიო სამართლის პროექტის“ კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსი მნიშვნელოვანი წყაროა სხვადასხვა ქვეყანაში კანონის უზენაესობის მდგომარეობის გასაცნობად. ამ ინდექსის საშუალებით შესაძლებელია პროგრესის შეფასება და ქვეყანაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება. 2022 წლის შედეგებით, საქართველოს ქულა შემცირდა - 0.61 ქულიდან 0.60-მდე ჩამოვიდა. მართალია საქართველო რეგიონულ რეიტინგში, 14 ქვეყანას შორის პირველ პოზიციაზეა, მაგრამ ქვეყნის პროგრესი ბოლო წლებში შეჩერდა. საქართველო იმ ქვეყნებს შორის მოხვდა, რომელთა მაჩვენებლები 2015 წლის შემდეგ შემცირდა. ამის საპირისპიროდ, რეგიონში მოლდოვამ, უკრაინამ, ყაზახეთმა და უზბეკეთმა ბოლო წლებში გაუმჯობესების ტენდენცია აჩვენეს.

2015-2022 წლებში საქართველოს ყველაზე დაბალი ქულები მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიმართულებით აქვს აღებულია. 2022 წელს მცირედი პროგრესი დაფიქსირდა ინდექსის რვა მიმართულებიდან მხოლოდ სამ კომპონენტში, დანარჩენ ხუთ კომპონენტში კი ქვეყნის მაჩვენებლები შემცირდა, განსაკუთრებით, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების, მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვისა და ფუნდამენტური უფლებების დაცვის მიმართულებით. ცალკეული ინდიკატორების შემთხვევაში, ყველაზე მეტად ქულები შემცირდა შემდეგ საკითხებში: სისხლისა და სამოქალაქო სამართლის მართლმსაჯულების თავისუფლება ხელისუფლების არასათანადო ზეგავლენისგან, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ეფექტური უზრუნველყოფა.

2022 წლის შეფასება ცხადყოფს, რომ ცალკეული საკვანძო საკითხები ქვეყანაში კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა კვლავ რჩება რეიტინგის ლიდერად რეგიონში და ასევე, ჯამური ქულებით უსწრებს ევროკავშირის წევრ ზოგიერთ ქვეყანას, ქულების კლების საერთო დინამიკა (2015-2022 წწ) ცალსახად მიუთითებს დემოკრატიული რეფორმების პროცესის სტაგნაციაზე და მათი განხორციელების აუცილებლობაზე. ქვეყანაში კანონის უზენაესობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია საქართველომ აღმოფხვრას იდენტიფიცირებული ხარვეზები და ეფექტური ზომების მიღებით, აჩვენოს მნიშვნელოვანი პროგრესი.